ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების
რეაბილიტაციისთვის
Rehabilitation initiative for
vulnerable groups

1989–2019
30
YEARS
PENAL
REFORM
INTERNATIONAL


# ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა კონტაქტი გარე სამყაროსთან

## სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი/კვლევა


ავტორი **ნატალია ცაგარელი**





2019

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის
Rehabilitation initiative for vulnerable groups

1989–2019 30 YEARS PENAL REFORM INTERNATIONAL

# ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა კონტაქტი გარე სამყაროსთან

## სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი/კვლევა

*ავტორი* ***ნატალია ცაგარელი***

*წინამდებარე ანგარიში მოამზადა ორგანიზაციამ „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“ (ავტორი: ნატალია ცაგარელი). კვლევა ჩატარდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, „ციხის საერთაშორისო რეფორმის სამხრეთ კავკასიის ოფისის პროექტის - „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის რეფორმების ხელშეწყობა და მონიტორინგი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით“ ფარგლებში. დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და ტექსტში გადმოცემული მოსაზრებები არცერთ ვითარებაში არ შეიძლება ჩაითვალოს დონორის, „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ ან მისი პარტნიორი ორგანიზაციების პოზიციის გამომხატველად.*

სარჩევი


1. კვლევის მიზანი ........ 3
2. კვლევის ამოცანა ........ 3
3. კვლევის მეთოდოლოგია ........ 3
4. კვლევის შეზღუდვა ........ 5
5. შესავალი ........ 5
6. არსებული გამოწვევები ........ 6
7. სამოქმედო გეგმების ანალიზი ........ 11

ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2015 წლების სამთავრობო გეგმა ........ 11

ადამიანის უფლებათა დაცვის 2016-2017 წლების სამთავრობო გეგმა ........ 12

ადამიანის უფლებათა დაცვის 2018-2020 წლების სამთავრობო გეგმა ........ 14

ს.ს რეფორმის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის 2015 წლის სამოქმედო გეგმა........ 14

ს.ს რეფორმის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის 2016 წლის სამოქმედო გეგმა........ 15

ს.ს რეფორმის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის 2017 წლის სამოქმედო გეგმა........ 18

ს.ს რეფორმის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის 2018 წლის სამოქმედო გეგმა........ 20

პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიის 2019-2020 წლების განვითარების სამოქმედო გეგმა........ 20

8. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები ........ 21

# 1. კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია, შეფასდეს პენიტენციურ სისტემაში გარე სამყაროსთან ურთიერთობის კუთხით სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესი 2015-2018 წლების განმავლობაში, ასევე, მოკლედ აღიწეროს ამ მიმართულებით არსებული სამომავლო გეგმები.

# 2. კვლევის ამოცანა

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანაა შეფასდეს მითითებული წლების განმავლობაში შემდეგი საკითხები:

- გარე სამყაროსთან ურთიერთობის დაგეგმვის კუთხით არსებული დადებითი და უარყოფითი ტენდენციები;
- სამოქმედო გეგმების სტრუქტურა, მათი შემუშავებისა და შესრულების პროცესი;
- შემუშავდეს რეკომენდაციები სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესის გაუმჯობესების მიმართულებით.

# 3. კვლევის მეთოდოლოგია

შეფასდა სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების (სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების), ასევე, საერთაშორისო დონეზე საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ხარისხი, რომელიც შეეხება პენიტენციურ სიტემაში გარე სამყაროსთან ურთიერთობის საკითხებს.

კვლევის ფარგლებში შეფასდა საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ვალდებულებები, აგრეთვე ასოცირების დღის წესრიგი (2014-2016 და 2017-2020 წლებისთვის). გარდა ამისა, გაანალიზდა, რა სახის ველდებულებები იყო ასახული საქართველოს მიერ შემუშავებულ შემდეგი სახის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში:

ა) ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020 წლების ეროვნული სტრატეგია;

ბ) ადამიანის უფლებათა დაცვის (2014-2015 წწ; 2016-2017 წწ; 2018-2020 წწ) სამოქმედო გეგმები (შესაბამისი თავები);

გ) სისხლის სამართლის რეფორმის (2015წ; 2016წ; 2017წ; 2018წ) სტრატეგიები (პენიტენციური სისტემის რეფორმის თავი);

დ) სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო (2015 წ; 2016 წ; 2017 წ; 2018 წ) გეგმები (პენიტენციური სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის ნაწილი);

ე) პენიტენციური სისტემის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა.

სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების შეფასებისას ძირითადი აქცენტი გაკეთდა სამოქმედო გეგმების

ანალიზზე. გეგმები შეფასდა შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

- სამოქმედო გეგმების კომპონენტების სტრუქტურა;
- რელევანტურობა;
- შესრულება.

**ა) სამოქმედო გეგმების კომპონენტების რელევანტურობა**

სამოქმედო გეგმების კომპონენტების რელევანტურობის შეფასება განხორციელდა შემდეგი წყაროების მიხედვით:

- სამაგიდე კვლევა - პენიტენციური სისტემის პერსონალის უფლებრივი მდგომარეობა;
- საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშები (2014-2018წწ);
- წამების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში 2018 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის თაობაზე;
- სხვა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კვლევები.

აღნიშნულ წყაროებზე დაყრდნობით, შეფასდა რამდენად რელევანტური იყო სამოქმედო გეგმებში ასახული მიზნები, ამოცანები და აქტივობები და რამდენად პასუხობდა არსებულ გამოწვევებს კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში (2015, 2016, 2017, 2018 წლებში).

**ბ) სამოქმედო გეგმების შესრულება**

სამოქმედო გეგმების შესრულება შეფასდა შემდეგი წყაროების მიხედვით:

- ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმების (2014-2015 წწ; 2016-2017 წწ) შესრულების ანგარიში;
- სისხლის სამართლის რეფორმის პროგრესის VII (2015 წლის), VIII (2016 წლის), IX (2017 წლის) ანგარიშები;
- სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშები ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ.

**გ) სამოქმედი გეგმების სტრუქტურა**

სამოქმედო გეგმების სტრუქტურა, კერძოდ, ამოცანები და აქტივობები შეფასდა ე.წ. S.M.A.R.T პრინციპით, რაც გულისხმობს რამდენად იყო გეგმაში ასახული კომპონენტები:

- S (Specific) = სპეციფიკური (კონკრეტული, დეტალური, კარგად განსაზღვრული);
- M (Measurable) = გაზომვადი (ციფრები, რაოდენობა);
- A (Achievable) = მიღწევადი (შესაძლებელი);
- R (Realistic) = რეალისტური (რესურსების გათვალისწინებით);
- T (Time-bound) = დროში გაწერილი (უნდა გააჩნდეს შესრულებისთვის განსაზღვრული ვადა, ე.წ. „დედლაინი“).

შეფასდა გეგმებში ასახული ძირითადი ტენდენციები, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კუთხით.

# 4. კვლევის შეზღუდვა

კვლევის განხორციელების პროცესში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან გამოთხოვილ იქნა საჯარო ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში (სამოქმედო გეგმებში) ასახული აქტივობების (ზოგ შემთხვევაში ამოცანების) შესრულებას. აღნიშნული ინფორმაცია გამოყენებული იქნებოდა როგორც დამხმარე ინსტრუმენტი სამოქმედო გეგმების შესაბამისი პუნქტების შეფასებისთვის. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მხრიდან არ იქნა მოწოდებული საჯარო ინფორმაცია, რის გამოც, ანალიზი განხორციელდა სხვა წყაროების მიხედვით.

# 5. შესავალი

საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებები პენიტენციური სისტემის რეფორმისა და საკანონმდებლო ცვლილებების კუთხით, უმთავრესად გამომდინარეობს როგორც საქართველოს მიერ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებიდან, ასევე საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებიდან. თავად ხელშეკრულება ზოგად ნორმებს ითვალისწინებს და უშუალოდ მსჯავრდებულთა გარე სამყაროსთან კონტაქტზე მასში საუბარი არ არის, ასევე უშუალოდ ამ საკითხს არ ეხება 2014-2016 და 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგის დოკუმენტები.

სისხლის სამართლის კუთხით სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტები მოცემულია ასევე სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიებში. საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წელს მიღებულ იქნა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია.[1] სტრატეგიის უმთავრესი მიზანია სისტემური მიდგომის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებიდან გამომდინარე ვალდებულებების ყოველდღიურ ცხოვრებაში შესრულებას. სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ ხელისუფლების ყველა შტოს წარმომადგენლებმა, პირველ რიგში, საქართველოს მთავრობამ, ნებისმიერმა საჯარო თანამდებობის პირმა ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე, კარგად უნდა გააცნობიეროს და შეასრულოს მოვალეობები, რომლებსაც მათ ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის კონსტიტუციური ვალდებულება აკისრებს. სტრატეგია მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ საქართველოში ყველა ადამიანს კარგად ესმოდეს საკუთარი უფლებების არსი და შეეძლოს მათი განხორციელება მეტი კეთილდღეობისა და ღირსეული ცხოვრების მისაღწევად. გარდა ამისა, სტრატეგიაში ხაზგასმულია, რომ ხელისუფლებამ ისეთი ღონისძიებები უნდა განახორციელოს, რომლებიც ადამიანებს შესაძლებლობას მისცემს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკუთარი უფლებების დაცვასა და დემოკრატიის განვითარებაში. მართალია უშუალოდ გარე სამყაროსთან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ურთიერთობაზე სტრატეგიაში საუბარი არ არის, თუმცა აღნიშნულია, რომ უნდა გაუმჯობესდეს პატიმართა პირობები. აღნიშნულ ფორმულირებაში ინფრასტრუქტურულ საკითხებთან ერთად შეგვიძლია მათი უფლებრივი მდგომარეობის, მათ შორის, გარე სამყაროსთან კომუნიკაციის უზრუნველყოფის საკითხიც მოვიაზროთ.

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 13 დეკემბრის №591 ბრძანებულების საფუძველზე, შეიქმნა სისხლის სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. საბჭო უფლებამოსილია, შეიმუშაოს და განახორციელოს სისხლის სამართლის რეფორმა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ასევე, კოორდინაცია გაუწიოს სისხლის სამართლის სფეროში საუწყებათაშორისო საქმიანობას. საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან როგორც სამთავრობო უწყებების, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები. საბჭოს მიერ დამტკიცებულია სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლის განახლებაც ხდება ყოველწლიურად.

უშუალოდ გარე სამყაროსთან ურთიერთობასთან დაკავშირებით, 2015 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიაში საუბარი არ არის.

2016 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიაში გარე სამყაროსთან კომუნიკაციის კუთხით აღნიშნულია, რომ „საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების საკანონმდებლო ჩამონათვალს დაემატება ტელევიზორით და რადიომიმღებით სარგებლობის უფლება, რაც ამ დრომდე მხოლოდ წახალისების ფორმას წარმოადგენდა. ამასთან, იგეგმება ადმინისტრაციული პატიმრობის არსებული პრაქტიკის გადახედვა და ვადების შემცირება“.[2]

სისხლის სამართლის რეფორმის 2017 წლის სტრატეგიაშიც საუბარია ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გარე სამყაროსთან ურთიერთობების საკითხებზე. კერძოდ, აღნიშნულია, რომ „თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს, ასევე, დაბალი რისკისა და ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს ენიჭებათ უფლება, ყოველგვარი ნებართვის

1 პარლამენტის დადგენილება №2315-IIს.

2 სისხლის სამართლის რეფორმის 2016 წლის სტრატეგია, გვ. 67

გარეშე, შეიძინონ პირადი ტელევიზორი და რადიომიმღები, თუ ამით არ ირღვევა შესაბამისი დაწესებულების დებულების მოთხოვნები და სხვა ბრალდებულ/მსჯავრდებულთა სიმშვიდე“.[3]

ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ იცვლება ბრალდებული/მსჯავრდებულის განთავსების შესახებ ინფორმაციის მიწოდების საკითხიც. კერძოდ, შემოთავაზებული რედაქციის თანახმად, პენიტენციური დაწესებულება ბრალდებული/მსჯავრდებულის მოთავსებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში ვალდებული იქნება, პირის მოთავსების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს გამომძიებელს, პროკურორსა და სასამართლოს, ხოლო პენიტენციური დაწესებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეატყობინებს ბრალდებული/მსჯავრდებულის განთავსების შესახებ ინფორმაციას მის ახლო ნათესავს, თუ თავად ბრალდებული/მსჯავრდებული არ არის აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების წინააღმდეგი.

დოკუმენტის თანახმად, “აღსანიშნავია ქალ მსჯავრდებულებთან დაკავშირებით დაგეგმილი ცვლილებები - ქალ მსჯავრდებულს, რომელსაც დაწესებულებაში ჰყავდა 3 წლამდე ბავშვი და 3 წლის ასაკის მიღწევის გამო ბავშვი დატოვებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას, დედას მიეცემა უფლება, პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით, ბავშვის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში, უქმე (შაბათ-კვირა) და დასვენების დღეებში დატოვოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის საფუძველზე, 2017 წლიდან ფართოვდება იმ პირთა წრე, რომელთანაც შეუზღუდავად უნდა განხორციელდეს კორესპონდენცია. პენიტენციურ დაწესებულებას ასევე აეკრძალება ისეთი კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა, შეჩერება ან/და შემოწმება, რომლის ადრესატი ან ადრესანტი არის სამინისტროს ადგილობრივი საბჭო“.[4]

**2018 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიაში** უშუალოდ მსჯავრდებულთა და პატიმართა გარე სამყაროსთან კომუნიკაციაზე საუბარი არ არის, თუმცა ინფრასტრუქტურული საკითხების კუთხით, რაც ზეგავლენას ახდენს პატიმართა ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან კომუნიკაციაზე, აღნიშნულია, რომ „გაგრძელდება სხვადასხვა დაწესებულებებში გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის შექმნა“.[5]

# 6. არსებული გამოწვევები

უშუალოდ ადამიანის უფლებათა და სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმების რელევანტურობისა და შესრულების ანგარიშის შეფასებამდე, მნიშვნელოვანია გავიხსენოთ ის საკითხები, რომლებიც აქტუალური იყო 2014-2018 წლებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გარე სამყაროსთან ურთიერთობის კუთხით, რაც გამოიკვეთა აღნიშნული პროექტის ფარგლებში პენიტენციურ სისტემაში გარე სამყაროსთან დაკავშირებით მომზადებული სამაგიდე კვლევით[6], მითითებულ წლებში საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებითა და წამების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის პრევენციის კომიტეტის 2018 წლის ანგარიშით საქართველოში ვიზიტის შესახებ. კერძოდ, პენიტენციურ სისტემაში 2018 წლისთვის კვლავაც აქტუალური იყო შემდეგი საკითხები (მათი დიდი ნაწილი დღემდე პრობლემურია):

- მნიშვნელოვანია შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსში და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს მიეცეთ ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება;

- მნიშვნელოვანია მთელ რიგ დაწესებულებებში (№2, №3, №6, №8, №9, №14, №15, №16, №17, №18, №19) ხანმოკლე პაემნები განხორციელდეს მინის ბარიერის გარეშე, რათა ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს მიეცეთ მნახველებთან უშუალო კომუნიკაციის უფლება[7]. საგამონაკლისო შეზღუდვა შესაძლებელია დაწესდეს მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ინდივიდუალური რისკის შეფასებაზე დაფუძნებული, არგუმენტირებული გადაწყვეტილება, რომ პოტენციური რისკი შესაძლოა მომდინარეობდეს მსჯავრდებულის ან ვიზიტორისგან;

- მნიშვნელოვანია ქალ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შეეძლოთ დროის აკუმულირება და გამოუყენებელი ხანმოკლე პაემნის დროის დამატება პაემნის განხორციელებისას, ვინაიდან ხშირად მსჯავრდებული ქალების სახლთან ახლოს განთავსება არსებული ინფრასტრუქტურის გამო ვერ ხერხდება და ოჯახის

---

3 სისხლის სამართლის რეფორმის 2017 წლის სტრატეგია, გვ. 94

4 სისხლის სამართლის რეფორმის 2017 წლის სტრატეგია, გვ. 96

5 სისხლის სამართლსი რეფორმის 2018 წლის სტრატეგია, გვ. 54

6 პატიმრების კონტაქტი გარე სამყაროსთან, სამაგიდე კვლევა
https://www.rivg.ge/media/1001537/2019/03/04/aef42b13695612bce0dcfcc3fbb11af3.pdf

7 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში (2018 წელი), გვ. 49

წევრები ვერ ახერხებენ ხშირად მათ მონახულებას; სამინისტროდან მიღებული პასუხი იმის შესახებ, რომ არ არსებობს სტატისტიკა რამდენი პირის შემთხვევაში მოხდა მათი განთავსება საცხოვრებელ სახლთან ახლოს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში, გვაფიქრებინებს, რომ ამ ფაქტორის გათვალისწინება არ ხდება;

- მიზანშეწონილია არასრულწლოვან მსჯავრდებულებს პაემნის უფლებით სარგებლობა შეეძლოთ უქმე დღეებშიც (ვინაიდან ხშირად სამუშაო დღეებში მათი ახლობლები სამსახურში დაკავებულობის გამო ვერ ახერხებენ მათ მონახულებას);

- მნიშვნელოვანია №18 დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულებისთვის უზრუნველყოფილი იყოს ხანგრძლივი პაემნის ორგანიზება დაწესებულებებში ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურის შექმნის საშუალებით; ამ ეტაპზე ვიდეოპაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა არსებობს მხოლოდ შვიდ დაწესებულებაში, მნიშვნელოვანია ვიდეოპაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა №2, №3, №6, №7, №9, №12, №18 და №19 დაწესებულებებში. როგორც პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგებიდან ირკვევა, არსებობს სატელეფონო ზარების კონფიდენციალობის პრობლემა (თუმცა სპეციალური პენიტენციური დეპარტამენტი უარყოფს აღნიშნულ ფაქტს), შესაბამისად, დახურული ტიპის დაწესებულებებში უზრუნველყოფილი უნდა იქნას ტელეფონების მოთავსება ისეთ ადგილას, სადაც პატიმარს შესაძლებლობა ექნება სატელეფონო ზარი განახორციელოს დაწესებულების თანამშრომლის მიყურადების გარეშე;

- მნიშვნელოვანია ასევე სამარტოო საკანში მოთავსებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს მიეცეს სახალხო დამცველთან სატელეფონო ზარის, ასევე ღამის საათებში ომბუდსმენთან დაკავშირების უფლება;

- მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს ბიბლიოთეკების მომარაგება სხვადასხვაენოვანი ლიტერატურით, ასევე, უფრო მეტ დაწესებულებაში ხელმისაწვდომი გახდეს სომხურენოვანი და ინგლისურენოვანი არხები;

- მიზანშეწონილია კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება და ქალებს უფლება მიეცეთ სატელეფონო საუბარი და მიმოწერა იქონიონ სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ მეუღლეებთან/პარტნიორებთან/ოჯახის წევრებთან;

- მნიშვნელოვანია კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება, რომლის მიხედვითაც, იმ მსჯავრდებულებს, რომელთა მიმართ გამოყენებულია დისციპლინური ზომები, არ შეეზღუდოთ გარე სამყაროსთან კომუნიკაციის უფლება;

- მნიშვნელოვანია კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება და დისციპლინური ზომების სახით არ იყოს შესაძლებელი პაემნების, სატელეფონო ზარების, ტელევიზიის ხელმისაწვდომობის, კორესპონდეციის აკრძალვა;[8]

- ტელეფონის ხელმისაწვდომობის საკითხი მოგვარდეს ყველა ტიპის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულისთვის;

- შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსში და ყველა პატიმრისთვის/მსჯავრდებულისთვის გათვალისწინებული იქნას ვიზიტი მინიმუმ კვირაში ერთხელ.[9]

საქართველოს სახალხო დამცველი წლების განმავლობაში გასცემდა რეკომენდაციებს პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების/მსჯავრდებულების გარე სამყაროსთან კომუნიკაციის პირობების გაუმჯობესების შესახებ, რომელთა დიდი ნაწილიც აისახა სამაგიდე კვლევაშიც, თუმცა ქრონოლოგიის გასააზრებლად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მათი წლების მიხედვით გამოყოფა:

## საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიში

- უზრუნველყოფილ იქნას ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე;

- გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით, პატიმრობაში მყოფ ბრალდებულებს მიეცეთ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის შესაძლებლობა;

---

8 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში (2018 წელი), გვ. 47

9 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში (2018 წ), გვ. 48

- უზრუნველყოფილ იქნას სასჯელაღსრულების №5, №7, №8, №12 დაწესებულებებში ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა;

- სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოფილ იქნას ვიდეოპაემნისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა;

- სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნას პატიმრებისთვის კანონმდებლობით მინიჭებული სატელეფონო საუბრებით სრულყოფილად სარგებლობის უფლება;

- მსჯავრდებულის განთავსებისას გათვალისწინებულ იქნას მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილი.

## საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიში

მინისტრის ბრძანებაში შევიდეს ცვლილება ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის შესახებ და გაკეთდეს ჩანაწერი, რომლის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის შეხვედრა მსჯავრდებულთან/ბრალდებულთან კონფიდენციალურია და რაიმე სახის მიყურადება ან თვალთვალი დაუშვებელია. უზრუნველყოფილ იქნას:

- ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე;

- სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა;

- სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში ვიდეოპაემნისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა;

- სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში პატიმრებისთვის კანონმდებლობით მინიჭებული სატელეფონო საუბრებით სრულყოფილად სარგებლობის უფლება;

- კანონმდებლობის შესაბამისად, დაცული იყოს კორესპონდენციის კონფიდენციალურობა;

- სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ იქნას პატიმრის ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილი;

- შევიდეს შესაბამისი ცვლილება პატიმრობის კოდექსში და გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით, პატიმრობაში მყოფ ბრალდებულებს მიეცეთ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის შესაძლებლობა;

- შევიდეს შესაბამისი ცვლილება პატიმრობის კოდექსში და დახურული ტიპის დაწესებულებებში განთავსებული პატიმრებისთვის უზრუნველყოფილ იქნას ხანმოკლე პაემნების რაოდენობის გაზრდა.[10]

## საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში

უზრუნველყოფილ იქნას:

- ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე;

- ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა;

- ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ვიდეოპაემნისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა;

- ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრებისთვის კანონმდებლობით მინიჭებული სატელეფონო საუბრებით სრულყოფილად სარგებლობის უფლება;

- დახურული ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებში ტელეფონების აპარატები განთავსდეს ისეთ ადგილას, სადაც პატიმარს შეეძლება დაწესებულების თანამშრომლის მოსმენის გარეშე განახორციელოს ზარი;

10 საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 202

- ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში დაემატოს ტელეფონის აპარატები;
- პატიმრის დაწესებულებაში მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ იქნას პატიმრის ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილი, რათა უზრუნველყოფილი იყოს პაემნის უფლებით შეუფერხებელი სარგებლობა;
- დაცული იყოს კორესპონდენციის კონფიდენციალურობა;
- გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით, პატიმრობაში მყოფ ბრალდებულებს მიეცეთ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის შესაძლებლობა;
- დახურული ტიპის და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში განთავსებული პატიმრებისთვის უზრუნველყოფილ იქნას ხანმოკლე პაემნების რაოდენობის გაზრდა;
- განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ პატიმრებს მიეცეთ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება;
- სამარტოო საკანში მოთავსებულ პატიმრებს მიეცეთ საშუალება განახორციელონ სატელეფონო ზარი სახალხო დამცველის აპარატში.[11]

## საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში

- პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის მოთავსებისას გაითვალისწინონ პატიმრის ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილი;
- უზრუნველყოფილ იქნას ხანმოკლე პაემნები მინის გამყოფი ბარიერის გარეშე;
- ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში უზრუნველყოფილ იქნას ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში“, რომელიც გაზრდის დახურულ და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული პატიმრებისთვის ხანმოკლე პაემნის რაოდენობას;
- მომზადდეს საკანონმდებლო ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში“, რომელიც დაარეგულირებს განსაკუთრებული რისკის პატიმრების მიერ ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობის საკითხს;
- მომზადდეს საკანონმდებლო ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში“, რომელიც დაარეგულირებს ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნების რაოდენობის გაზრდის საკითხს;
- მომზადდეს საკანონმდებლო ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში“, რომელიც გაზრდის დახურული და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული პატიმრებისთვის სატელეფონო ზარების რაოდენობას;
- მომზადდეს საკანონმდებლო ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში“, რომელიც უზრუნველყოფს სამარტოო საკანში მოთავსებული პატიმრების მიერ სახალხო დამცველის აპარატსა და ინსპექტირების სხვა ორგანოებში დარეკვის უფლებით სარგებლობას;
- მიღებულ იქნას ყველა საჭირო ზომა, რათა პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულმა პატიმრებმა საჭიროების შემთხვევაში, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში, დაუბრკოლებლად შეძლონ სახალხო დამცველის აპარატისა და ინსპექტირების სხვა ორგანოების ცხელ ხაზზე დარეკვა;
- ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში იყოს დაცული პატიმრებისთვის კანონმდებლობით მინიჭებული სატელეფონო საუბრით სრულყოფილად სარგებლობის უფლება;

11 საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. გვ. 154-155

- დახურული ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებში ტელეფონების აპარატები განთავსდეს ისეთ ადგილას, სადაც პატიმარს შეეძლება დაწესებულების თანამშრომლის მოსმენის გარეშე ისაუბროს ტელეფონით;
- ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში დაემატოს ტელეფონის აპარატები;
- ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში მოეწყოს ვიდეოპაემნისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა;
- მიღებულ იქნას ყველა საჭირო ზომა, რათა დაწესებულებებში სრულად ხელმისაწვდომი იყოს მოთხოვნადი და რეიტინგული ქართული არხები;
- მიღებულ იქნას ყველა საჭირო ზომა, ტელეარხების შერჩევისას სხვადასხვა ენობრივი ჯგუფების ინტერესების გასათვალისწინებლად.[12]

## საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში

- №2, №3, №6, №7, №8, №9, №12, №14, №15, №16, №17, №18, №19 დაწესებულებებში ხანმოკლე პაემნები განხორციელდეს მინის ბარიერის გარეშე;
- N18 დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულებისთვის უზრუნველყოფილ იქნას ხანგრძლივი პაემნის ორგანიზება, დაწესებულებებში ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურის შექმნის ან სხვა დაწესებულებაში გადაყვანის საშუალებით;
- №2, №3, №6, №7, №9, №12, №14, №18 და №19 დაწესებულებებში უზრუნველყოფილ იქნას ვიდეოპაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- დახურული ტიპის დაწესებულებებში უზრუნველყოფილ იქნას ტელეფონების მოთავსება ისეთ ადგილას, სადაც პატიმარს შესაძლებლობა ექნება, სატელეფონო ზარი განახორციელოს დაწესებულების თანამშრომლის მიყურადების გარეშე.[13]

## საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში

- შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსში და ბრალდებულებს, გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით, მიეცეთ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება;
- შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსში და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს მიეცეთ ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება[14].
- №2, №3, №6, №7, №8, №9, №12, №14, №15, №17, №18, №19 დაწესებულებებში ხანმოკლე პაემნები განხორციელდეს მინის ბარიერის გარეშე;
- დახურული ტიპის დაწესებულებებში ტელეფონები მოთავსდეს ისეთ ადგილას, სადაც პატიმარს შესაძლებლობა ექნება, სატელეფონო ზარი განახორციელოს დაწესებულების თანამშრომლის მიყურადების გარეშე.[15]

როგორც ვხედავთ, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში წლიდან წლამდე პრობლემად რჩებოდა ისეთი საკითხები, როგორიცაა ვიდეოპაემნისა და ხანგრძლივი პაემნების ინფრასტრუქტურის მოწყობა ყველა დაწესებულებაში, ხანმოკლე პაემნების განხორციელების საკითხი მინის გამყოფი ბარიერების გარეშე, უფრო მრავალფეროვანი სატელევიზიო არხების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მსჯავრდებულთა განთავსებისას მათი ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინება და სხვა.

12 საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 157-158

13 საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 54

14 საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. გვ. 63

15 საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 67

# 7. სამოქმედო გეგმების ანალიზი

## ა) 2014-2015 წლის ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა [16]

2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გარე სამყაროსთან კომუნიკაციასთან დაკავშირებით, **აერთიანებს 1 მიზანს, 1 ამოცანასა და 2 საქმიანობას/ღონისძიებას**:

**მიზანი 5.1.** საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება.

**ამოცანა 5.1.3.** პატიმრობის პირობების გაუმჯობესება, მათ შორის სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების - ქალების, არასრულწლოვნების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებით.

**საქმიანობა 5.1.3.5.** მსჯავრდებულთა ოჯახთან ურთიერთობის უფლების უზრუნველსაყოფად გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილების შექმნა.

**ინდიკატორები:** გრძელვადიანი ვიზიტებისთვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა; ოჯახთან ურთიერთობის უფლებით უზრუნველყოფილ თავისუფლება აღკვეთილ პირთა რაოდენობა; პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშები;

**რელევანტურობა:** გრძელვადიანი ვიზიტებისთვის ადგილების შექმნა რელევანტური ამოცანაა, ეს რეკომენდაცია გაცემული იყო იმ პერიოდის სახალხო დამცველის ანგარიშებშიც. რაც შეეხება ინდიკატორებს, ისინი არ არის კონკრეტული. არ ხდება მითითება კონკრეტულად რამდენი ადგილის შექმნა ჩაითვლებოდა საქმიანობის შესრულებად, ასევე რამდენი პირი უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი ოჯახთან ურთიერთობის უფლებით. ასევე გაურკვეველია თავისთავად პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში, როგორ უნდა იქნას გამოყენებული საქმიანობის შეფასების ინდიკატორად;

**შესრულების შეფასება:** ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმის 2014-2015 წლების შესრულების ანგარიშში, მოცემული საქმიანობა მონიშნულია როგორც შესრულებული. ანგარიშის თანახმად, 2015 წელს ექსპლუატაციაში შევიდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №5 ქალთა პენიტენციური დაწესებულების გრძელვადიანი პაემნის 4 ნომრიანი სასტუმროს ტიპის შენობა. იმ პერიოდისთვის გრძელვადიანი პაემანების სერვისით სარგებლობდნენ №2, №3, №5, №6, №11, №12, №14, №15, №16 და №17 პენიტენციური დაწესებულებების მსჯავრდებულები/ბრალდებულები.[17]

**დასკვნა:** ვინაიდან ინდიკატორები ზოგადია, რთულია განსაზღვრო რამდენი ადგილის შექმნა იგეგმებოდა, თუმცა ომბუდსმენის ანგარიშებში რეკომენდაცია გაიცემა ყველა დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნების ინფრასტრუქტურის მოწყობაზე, რაც 2014-2015 წლებში სრულად არ შესრულებულა. შესაბამისად, შესაძლოა გაწეული საქმიანობა ნაწილობრივ შესრულებულად ჩავთვალოთ.

**საქმიანობა 5.1.3.6.** თავისუფლებააღკვეთილთა ახლობლების, ოჯახის წევრებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის კანონით გათვალისწინებული მომსახურების გაუმჯობესება;

**ინდიკატორები:** მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შექმნილი საზოგადოებრივი მისაღების შენობების რაოდენობა; საზოგადოებრივი მისაღების მომსახურებით უზრუნველყოფილ ადამიანთა რაოდენობა; საზოგადოებრივ მისაღებებში "შენიშვნათა ყუთის" განთავსება; ყუთში მოთავსებული კომენტარების ანალიზი.

**რელევანტურობა**: ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ახლობლებისთვის გათვალისწინებული მომსახურეობის გაუმჯობესება რელევანტური ამოცანაა, თუმცა აქაც, სხვა აქტივობების მსგავსად, ინდიკატორები ზოგადი სახით არის ფორმულირებული. საზოგადოებრივი მისაღებებისა და მომსახურება მიღებული პირების რაოდენობის დათვლა მაშინ, როდესაც არ არის განსაზღვრული კონკრეტულად რა რაოდენობა ჩაითვლება საქმიანობის შესრულებად, არ იძლევა საქმიანობის შესრულებისა და მიზნობრივ ჯგუფზე ზეგავლენის გაზომვის შესაძლებლობას.

**შესრულების შეფასება** - ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში, საქმიანობა მონიშნულია როგორც შესრულებული. კერძოდ, აღნიშნულია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის

---

**16** http://myrights.gov.ge/ka/documents/action%20plans%201

**17** ადამიანის უფლებათა 2014-2015 წლების გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 39

სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების უმეტესობა უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი მისაღების შენობებით, №2, №3, №5, №6, №11, №15, №16, №17, №18 და №19 პენიტენციურ დაწესებულებებში ფუნქციონირებს საზოგადოებრივი მისაღების შენობები, სადაც განთავსებულია "შენიშვნების ყუთი". უახლოეს პერიოდში დაგეგმილია ყველა პენიტენციური დაწესებულების უზრუნველყოფა საზოგადოებრივი მისაღების შენობებით. 2015 წელს საზოგადოებრივი მისაღების თანამშრომელთათვის მომზადდა სასწავლო პროგრამა და დეკემბრის მეორე ნახევარში ერთი ჯგუფისათვის ჩატარდა ტრეინინგი, რომელიც სხვა თანამშრომელთათვის გაგრძელდება 2016 წელში. ანგარიშში[18] ასევე მოცემულია 2015 წლის განმავლობაში საზოგადოებრივი მისაღებების მიერ გაწეული მომსახურების სტატისტიკა დაწესებულებების შესაბამისად.

**დასკვნა:** ვინაიდან ინდიკატორების არასწორი ფორმულირების გამო, საქმიანობის შესრულების ზუსტი შეფასება ვერ ხერხდება, თუმცა ვხედავთ რომ გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით გადადგმულია, საქმიანობა ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

**გეგმის ზოგადი შეფასება:** ზოგადად გეგმასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ მასში მოცემული საკითხები მნიშვნელოვანია, თუმცა მოცემულ წლებში არსებობდა სხვა აქტუალური გამოწვევებიც, რომლებიც გეგმაში ასახული არ ყოფილა, კერძოდ, მსჯავრდებულისა და მისი ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინება მისი განთავსებისას, ხანმოკლე პაემნების განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე, კორესპონდენციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა, სატელეფონო საუბრების უფლებით სრულყოფილად სარგებლობის უფლება და სხვ.

რაც შეეხება გეგმის სტრუქტურას, როგორც ცალკეული საქმიანობების ანალიზიც ცხადყოფს, ინდიკატორების ფორმულირება არ არის ოპტიმალური და არ იძლევა საქმიანობების გაზომვის შესაძლებლობას. არ არის მითითებული, როგორ უნდა მოხდეს ინდიკატორების მიხედვით შედეგის გაზომვის შეფასება და საბოლოოდ როგორ უნდა გაიზომოს საქმიანობების შესრულების ზეგავლენა დასახულ მიზანზე, მიზნობრივი ჯგუფის უფლებრივ მდგომარეობაზე. ცალკე გრაფა არ არის გამოყოფილი არც ბიუჯეტის განსაზღვრისთვის.

## ბ) 2016-2017 წლის ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა[19]

2016-2017 წლის ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმა მოიცავს **2 მიზანს, 2 ამოცანასა და 3 საქმიანობა/ღონისძიებას:**

**მიზანი 4.2.** ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების გზით.

**ამოცანა 4.2.1.** აჭიროებიდან გამომდინარე, არსებული ინფრასტრუქტურის განახლება და ახალი პროექტების შემუშავება.

**საქმიანობები 4.2.1.2.** ხანგძლივი პაემნებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

**ინდიკატორი:** ხანგრძლივი პაემანი ხელმისაწვდომია ყველა სათანადო უფლების მქონე მსჯავრდებულისათვის.

**რელევანტურობა:** იხ. წინა წლის შეფასება რელევანტურობის ნაწილში. რაც შეეხება ინდიკატორებს, მოცემული ინდიკატორი მოიაზრებს ყველა შესაბამისი უფლების მქონე მსჯავრდებულისთვის ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების უზრუნველყოფას და მისი გაზომვა შესაძლებელია.

**შესრულების შეფასება:** ადამიანის უფლებათა დაცვის შესრულების ანგარიშში საქმიანობა მოხსენიებულია როგორც უმეტესად შესრულებული. ანგარიშში აღნიშნულია, რომ №8 პენიტენციურ დაწესებულებაში აშენდა და სტანდარტების შესაბამისად მოეწყო ხანგრძლივი პაემნებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, რომელიც ექსპლუატაციაში შევა 2018 წლის მარტიდან.[20]

**დასკვნა:** უნდა აღინიშნოს, რომ ინდიკატორის თანახმად, მხოლოდ ერთ დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა ვერ ჩაითვლება საქმიანობის შესრულებად, რადგან ეს თავისთავად ვერ უზრუნველყოფს ყველა მსჯავრდებულის მიერ უფლებების რეალიზებას, თუმცა ითვალისწინებს სახალხო დამცველის რეკომენდაციას №8 დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურის

18 ადამიანის უფლებათს 2014-2015 წლების გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 40

19 იხ. ბმული ჰტტპ://მყრიგჰტს.გოვ.გე/კა/დოცუმენტს/აცტიონ%20პლანს%201

20 ადამიანის უფლებათს 2016-2017 წლების გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 51

მოწყობის თაობაზე. შესაბამისად, შესაძლოა მითითებული აქტივობა ჩაითვალოს ნაწილობრივ შესრულებულად (მით უფრო, რომ ექსპლუატაციაშიც არ იყო შესული).

**მიზანი 4.3.** თავისუფლებააღკვეთილთა ოჯახის წევრების, ახლობლებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის კანონით გათვალისწინებული მომსახურების გაუმჯობესება.

**ამოცანა 4.3.1.** საზოგადოებრივი მისაღების მომსახურების გაუმჯობესება.

**საქმიანობა (4.3.1.1.) -** საზოგადოებრივი მისაღების აშენება და სრულად ამოქმედება იმ დაწესებულებებში, სადაც არ ფუნქციონირებს.

**ინდიკატორები:** წელიწადში ერთი დამატებითი საზოგადოებრივი მისაღების ამოქმედება.

**რელევანტურობა:** საზოგადოებრივი მისაღების ამოქმედება მნიშვნელოვანი და რელევანტური საქმიანობაა, შედარებით კონკრეტულად არის ფორმულირებული საქმიანობის ინდიკატორიც.

**შესრულების შეფასება**: რაც შეეხება შესრულებას, გეგმის შესრულების ანგარიშში საქმიანობა განსაზღვრულია როგორც უმეტესად შესრულებული. ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2017 წელს დასრულდა მშენებლობა და ექსპლუატაციაში შევიდა გეგუთის №14 დაწესებულების საზოგადოებრივი მისაღები. იგეგმებოდა №12 პენიტენციური დაწესებულების №16 დაწესებულების ბაზაზე გადატანა. შესაბამისად, ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ №16 დაწესებულების საზოგადოებრივი მისაღები მოემსახურებოდა №12 დაწესებულებასაც.[21]

**დასკვნა:** მოცემული ინდიკატორის თანახმად, საქმიანობა ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან რეალურად ორი წლის მანძილზე ამოქმედდა მხოლოდ ერთი ახალი საზოგადოებრივი მისაღები, რაც მითითებული ინდიკატორით საქმიანობის მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებაზე მიუთითებს.

**საქმიანობა 4.3.1.2.** საზოგადოებრივი მისაღების თანამშრომლები გადიან გადამზადებას მოქალაქეთა მომსახურების საკითხებში.

**ინდიკატორები:** ყოველწლიურად საზოგადოებრივი მისაღების თანამშრომელთა საერთო რაოდენობის 30% გადამზადებულია.

**რელევანტურობა:** თანამშრომელთა გადამზადება რელევანტური საქმიანობაა, რადგან საზოგადოებრივი მისაღებების წარმატებული ფუნქციონირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თანამშრომელთა ცოდნასა და უნარებზე. მეტ-ნაკლებად კონკრეტულია ინდიკატორიც, თუმცა არ არის განსაზღვრული დეტალურად როგორ უნდა მოხდეს 30%-ის გამოთვლა.

**შესრულების შეფასება:** ადამიანის უფლებათა დაცვის გეგმის შესრულების ანგარიშში მოცემული აქტივობა მონიშნულია როგორც სრულად შესრულებული. კერძოდ, აღნიშნულია, რომ 2016 წელს, მოქალაქეთა მომსახურების საკითხებში საზოგადოებრივი მისაღების თანამშრომელთა გადამზადებისათვის, სასწავლო ცენტრის მიერ განახლებული იქნა არსებული სასწავლო პროგრამა, რომლის მიხედვით, დღემდე გადამზადება გაიარა საზოგადოებრივი მისაღების 46-მა თანამშრომელმა (არსებული თანამშრომლების 92%); მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, 2016 წლის ოქტომბერში დაინერგა ონლაინ დახმარება, რომელიც დაემატა სამინისტროს ელექტრონულ საიტს და მომხმარებლებს შეუძლიათ ნებისმიერ კითხვაზე მიიღონ პასუხი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს კონსულტანტების მხრიდან ონლაინ რეჟიმში. აღნიშნული სერვისის დამატებასთან დაკავშირებით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში ჩატარდა ტრენინგი საზოგადოებრივი მისაღების თანამშრომლებისათვის, რომლებიც შემდგომში განახორციელებენ ჩეთის მართვას. მომზადება გაიარა 22-მა (100%) მოსამსახურემ. 2017 წლის ბოლოს დაიგეგმა საზოგადოებრივი მისაღების მოსამსახურეთა მომზადება/გადამზადების განახლებული პროგრამა. 2018 წლის მარტის თვიდან განახლებული პროგრამით, საზოგადოებრივი მისაღების 50 თანამშრომელი ეტაპობრივად გაივლის აღნიშნულ პროგრამას.[22]

**დასკვნა:** როგორც ვხედავთ, მითითებული საქმიანობა სრულად იქნა შესრულებული, უფრო მეტიც, გადამზადებულ თანამშრომელთა პროცენტული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება დაგეგმილ რაოდენობას.

**გეგმის ზოგადი შეფასება:** რაც შეეხება გეგმის ზოგად შეფასებას, წინა გეგმის მსგავსად, მიუხედავად იმისა, რომ გეგმაში გათვალისწინებული საკითხები იმ პერიოდისთვის აქტუალური და მნიშვნელოვანი

21 ადამიანის უფლებათა 2016-2017 წლების გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 53

22 ადამიანის უფლებათა 2016-2017 წლების გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 53

იყო, სხვა არანაკლებ მწვავე გამოწვევები გეგმაში ასახული არ იქნა, კერძოდ, ისევ აქტუალური იყო მსჯავრდებულისა და მისი ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინება მისი განთავსებისას, ხანმოკლე პაემნების განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე, განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულების უზრუნველყოფა ხანგრძლივი პაემნით, სატელეფონო ზარების კონფიდენციალობა, სახალხო დამცველთან დღე-ღამის ნებისმიერ დროს დაკავშირების შესაძლებლობით უზრუნველყოფა და სხვ.

რაც შეეხება სტრუქტურას, გარე სამყაროსთან ურთიერთობის კუთხით, გეგმაში გადმოცემული საქმიანობების ინდიკატორები შედარებით უფრო კონკრეტულად არის ფორმულირებული, ვიდრე წინა ორი წლის გეგმაში, თუმცა მათი ფორმულირება მაინც არ არის ოპტიმალური (არ არის აღწერილი მათი გამოთვლის კონკრეტული ხერხი). გეგმას დაემატა ბიუჯეტის გრაფაც, სადაც ძირითადად მითითება კეთდება სახელმწიფო ბიუჯეტზე ან დონორი ორგანიზაციების თანხებზე, თუმცა საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო თანხის ოდენობა ყველგან განსაზღვრული არ არის.

## გ) 2018-2020 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა[23]

2018-2020 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში გარე სამყაროსთან ურთიერთობის კუთხით ცალკე მიზნები, ამოცანები და საქმიანობები განსაზღვრული არ არის.

## დ) სისხლის სამართლის რეფორმის 2015 წლის სამოქმედო გეგმა[24]

რაც შეეხება 2015 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმას, ეფექტიანი რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ღონისძიებების საშუალებით, რეციდივის შემცირების **მიზნის** ქვეშ გაერთიანებულია:

**პრიორიტეტი:** სისხლის სამართლის რეფორმა - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება ზრდასრულთათვის, რომელშიც შედის **პროგრამა 6.3.** პატიმრობის პირობების გაუმჯობესება.

**განსახორციელებელი ქმედება:** პატიმრობის პირობების გაუმჯობესებით უზრუნველყოფილი ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პროცენტული მაჩვენებელი.

**ქვეპროგრამა 6.3.5.** მსჯავრდებულთა ოჯახთან ურთიერთობის უფლების უზრუნველსაყოფად გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილების შექმნა

**განსახორციელებლი ქმედება:** გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილების შექმნა სასჯელაღსრულების ერთ დაწესებულებაში

**ინდიკატორები:** გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა; სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ოჯახთან ურთიერთობის უფლებით უზრუნველყოფილი თავისუფლება აღკვეთილთა პროცენტული რაოდენობა.

**რელევანტურობა:** როგორც ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაში აღინიშნა, გრძელვადიანი პაემნებისთვის ინფრასტრუქტურის შექმნა მეტად მნიშვნელოვანია, თუმცა ერთ წელიწადში მხოლოდ ერთ დაწესებულებაში პაემნებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა წლების მანძილზე არსებული პრობლემის მოგვარებას შემჭიდროვებულ ვადებში ნაკლებად უზრუნველყოფს. რაც შეეხება ინდიკატორს, რომლითაც უნდა შეფასდეს აღნიშნული ამოცანის შესრულება, არ არის განმარტებული რა იგულისხმება ცვლადის მრიცხველსა და მნიშვნელში, როგორ უნდა მოხდეს პროცენტული მაჩვენებლის გამოყვანა და რა შედეგი მიიჩნევა მიზნისა და ამოცანის მიღწევის მაჩვენებლად.

**შესრულების შეფასება:** სისხლის სამართლის რეფორმის 2015 წლის სამოქმედო გეგმის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ გრძელვადიანი პაემნებისათვის სივრცე მოწყობილია სასჯელაღსრულების №2, №3, №5, №6, №11, №12, №14, №15, №16, №17 დაწესებულებებში. 2015 წლის ბოლოს დასრულდა №5 ქალთა დაწესებულებაში გრძელვადიანი პაემნებისათვის საჭირო სივრცის მოწყობა.[25]

---

23 http://myrights.gov.ge/ka/documents/action%20plans%201

24 http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/237

25 2015 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმის პროგრეს ანგარიში, გვ. 65

**დასკვნა:** თუ მხედველობაში მივიღებთ განსახორციელებელი ქმედების ინდიკატორს, მოცემული ქმედება ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა აღნიშნულ წელს №5 დაწესებულების გრძელვადიანი პაემნების ინფრასტრუქტურა სრულად არ ფუნქციონირებდა. ინდიკატორით რთულია განსაზღვრა რამდენი პაემნის ადგილი უნდა მოწყობილიყო გეგმის შესრულებისთვის, რადგან ინდიკატორი არ იძლევა შესრულების შეფასების შესაძლებლობას, თუმცა გარკვეული საქმიანობა გრძელვადიანი პაემნების მოწყობის კუთხით განხორციელდა, შესაბამისად, გეგმის ეს მიმართულება ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

**პროგრამა 6.3.6.** თავისუფლებააღკვეთილთა ახლობლების, ოჯახის წევრებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის სწრაფად და ეფექტურად მოძიების, მოქალაქეთა რეგისტრაციისა და პაემნების სრულყოფილად ორგანიზების მიზნით მომსახურების გაუმჯობესება

**განსახორციელბელი ქმედება:** საზოგადოებრივი მისაღების თანამშრომლები გადიან გადამზადებას მოქალაქეთა მომსახურების საკითხებში.

**ინდიკატორი:** მოქალაქეთა მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით შექმნილი საზოგადოებრივი მისაღების შენობების რაოდენობა; საზოგადოებრივი მისაღების მომსახურებით უზრუნველყოფილ ხალხთა რაოდენობა.

**რელევანტურობა:** საზოგადოებრივი მისაღების შენობების რაოდენობის ზრდა, ისევე როგორც თანამშრომელთა გადამზადება მნიშვნელოვანი ამოცანაა, თუმცა ინდიკატორის სახით მითითებული შენობების რაოდენობისა და მისაღების მომსახურებით უზრუნველყოფილ ხალხთა რაოდენობა, საქმიანობის შესრულების საზომად გამოყენებული ვერ იქნება. გაუგებარია, რა რაოდენობის მომსახურება, ან რამდენი დაწესებულების მისაღების მოწყობა იყო დაგეგმილი.

**შესრულების შეფასება:** სისხლის სამართლის რეფორმის გეგმის შესრულების პროგრეს ანგარიშის თანახმად, 2015 წელს საზოგადოებრივი მისაღების თანამშრომელთათვის მომზადდა სასწავლო პროგრამა და დეკემბრის მეორე ნახევარში ერთი ჯგუფისათვის ჩატარდა ტრენინგი (21 თანამშრომელი), რომელიც გეგმის თანახმად, სხვა დანარჩენი თანამშრომელთათვის უნდა გაგრძელებულიყო 2016 წელს.[26]

**დასკვნა:** შესრულების შეფასება ეხება მხოლოდ გადამზადებული თანამშრომლების რიცხვს, მისაღებების რაოდენობაზე, მით უფრო იმ ადამიანების რაოდენობაზე, რომლებმაც ისარგებლეს საზოგადოებრივი მისაღების მომსახურეობით, ანგარიშში საუბარი არ არის. შესაბამისად, გაუგებარი რჩება შესრულდა თუ არა გეგმაში განსაზღვრული ეს საქმიანობა 2015 წლის მანძილზე.

**გეგმის ზოგადი შეფასება:** ზოგადად სისხლის სამართლის რეფორმის 2015 წლის სამოქმედო გეგმის შეფასების მიზნით, უნდა ითქვას, რომ ის მეტ-ნაკლებად ეხმიანება და იმეორებს ადამიანის უფლებათა გეგმის პრიორიტეტებსა და აქტივობებს. თუმცა იმ პერიოდისთვის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი ასახული არ არის.

რაც შეეხება გეგმის სტრუქტურას, ინდიკატორები და საქმიანობები ფაქტობრივად გაიგივებულია, ასევე ცალკეა მოცემული განსახორციელებელი ქმედებები, რომლებიც საქმიანობებისგან განსხვავებული შინაარსის მატარებელია. ასეთი სტრუქტურა გაუგებარია, რადგან საქმიანობა იმავდროულად ინდიკატორი არ შეიძლება იყოს. თავად ინდიკატორებიც ზოგადად არის ფორმულირებული და არ იძლევა ქმედების შესრულების გაზომვის შესაძლებლობას.

## ე) სისხლის სამართლის რეფორმის 2016 წლის სამოქმედო გეგმა[27]

**მიზანი 6.** პატიმართა უფლებების დაცვის და უკეთესი მოპყრობის უზრუნველყოფა; ეფექტიანი რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ღონისძიებების საშუალებით რეციდივის შემცირება.

**პრიორიტეტი:** სისხლის სამართლის რეფორმა - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება ზრდასრულთათვის.

**პროგრამა 6.3.** პატიმრობის პირობების გაუმჯობესება.

**ქვეპროგრამა 6.3.5.** მსჯავრდებულთა ოჯახთან ურთიერთობის უფლების უზრუნველსაყოფად გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილების შექმნა.

---

26 2015 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმის პროგრეს ანგარიში, გვ. 38

27 http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/237

**განსახორციელებელი ქმედება: №5** დაწესებულებაში გრძელვადიანი პაემნებისათვის შექმნილი ინფრას-ტრუქტურის სრულყოფილად ამოქმედება.

**ინდიკატორები/საქმიანობები:** გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა; სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ოჯახთან ურთიერთობის უფლებით უზრუნველყოფილი თავისუფლე-ბააღკვეთილთა პროცენტული რაოდენობა.

**რელევანტურობა:** გრძელვადიანი პაემნების ინფრასტრუქტურის მოწყობა სხვადასხვა დაწესებულებებში წარმოადგენდა სახალხო დამცველის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეკომენდაციას, თუმცა ინდიკატორი იმდე-ნად ზოგადია, რომ გაურკვეველია 2016 წლისთვის კერძოდ რამდენი გრძელვადიანი პაემნის ადგილის შექმნა და რამდენი მსჯავრდებულის უზრუნველყოფა იგეგმებოდა ოჯახთან ურთიერთობის უფლებით.

**შესრულების შეფასება:** გეგმის შესრულების პროგრეს ანგარიშის მიხედვით, ქალთა **№5** დაწესებულებაში ექსპლუატაციაში შევიდა გრძელვადიანი პაემნების ახლად აშენებული შენობა, ხოლო ამავე დანიშნულების შენობის ასაშენებლად **№8** დაწესებულებაში შერჩეულ იქნა მიწის ნაკვეთი და მოეწყო მავთულბადის ღობე.[28] ანგარიშიდან ჩანს, რომ ახალი შენობა მიმდინარე წელს არ აშენებულა, ექსპლუატაციაში შევიდა წინა წელს აშენებული **№5** დაწესებულების ხანგრძლივი პაემნების შენობა, ასევე შეირჩა ადგილი ახალი შენობის ასაშე-ნებლად **№8** დაწესებულებაში.

**დასკვნა:** ინდიკატორების ბუნდოვანების გამო, შეუძლებელია ზუსტი შეფასება, თუმცა როგორც ვხედავთ, ამ წელს პაემნების ახალი ადგილები არ შექმნილა. შეიძლება მივიჩნიოთ, რომ საქმიანობის მხოლოდ მცირე ნაწილი შესრულდა; ამასთან, ომბუდსმენის ანგარიშშიც აღნიშნულია, რომ დახურული ტიპის დაწესებულებებში კვლავ პრობლემად რჩებოდა ხანგრძლივი პაემნების ინფრასტრუქტურის მოწყობა[29].

**ქვეპროგრამა 6.3.6.** თავისუფლებააღკვეთილთა ახლობლების, ოჯახის წევრების და სხვა დაინტერესებულ პირთათვის კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის სწრაფად და ეფექტურად მოძიების, მოქალაქეთა რეგისტრაციისა და პაემნების სრულყოფილად ორგანიზების მიზნით მომსახურების გაუმჯობესება.

**განსახორციელებელი ქმედება:** საზოგადოებრივი მისაღების აშენება და სრულად ამოქმედება იმ დაწესე-ბულებაში, სადაც არ ფუნქციონირებს.

**ინდიკატორები/საქმიანობები:** მოქალაქეთა მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით შექმნილი საზოგა-დოებრივი მისაღების შენობების რაოდენობა, საზოგადოებრივი მისაღების მომსახურებით უზრუნველყოფილ ხალხთა რაოდენობა.

**რელევანტურობა:** რაც შეეხება მიზნებისა და ამოცანების რელევანტურობას, ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, თუმცა თუ ინდიკატორებს შევხედავთ, მათი გამოყენებით მეტისმეტად რთული იქნება ამოცანისა და მიზნის მიღწევის გაზომვა. კერძოდ, არ არის დაკონკრეტებული, რამდენი საზოგადოებრივი მისაღების შენობა უნდა ამოქმედდეს, რა რაოდენობით ხალხის მომსახურება უნდა განხორციელდეს, რომ ამოცანა შესრულებულად ჩაითვალოს. როგორ უნდა მოხდეს მომსახურეობით უზრუნველყოფილ ხალხთა რაოდე-ნობის გამოთვლა.

**შესრულების შეფასება:** სისხლის სამართლის რეფორმის პროგრეს ანგარიშის თანახმად, სასჯელაღსრუ-ლებისა და პრობაციის სამინისტროს **№14** პენიტენციურ დაწესებულებასთან დასრულდა საზოგადოებრივი მისაღების მშენებლობა და მისი ამოქმედება იგეგმებოდა უახლოეს პერიოდში. ასევე, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე moc.gov.ge ონლაინ დახმარების სერვისი ამოქმედდა. ამ სერვისის სრულად და გამართულად მუშაობისათვის გადამზადება გაიარა საზოგადოებრივი მისაღების 22-მა თანამშრომელმა.[30]

**დასკვნა:** მითითებული ინფორმაციისა და ბუნდოვანი ინდიკატორის არსებობის პირობებში, აღნიშნული ქმედებაც ნაწილობრივ განხორციელებულად შეიძლება მივიჩნიოთ.

**ქვეპროგრამა 6.4.5.** მსჯავრდებულთა ბიბლიოთეკებით, საზოგადოებასთან ურთიერთობით, სპორტული და კულტურული ღონისძიებებით უზრუნველყოფა.

---

28 2016 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმის პროგრეს ანგარიში, გვ. 79

29 საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებები დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 232

30 2016 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმის პროგრეს ანგარიში, გვ. 79

**განსახორციელებელი ქმედებები:** 1. დაწესებულებები უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკებით; 2. საზოგადოებასთან ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით ჩატარებულია საინფორმაციო, კულტურული და სპორტული ღონისძიებები.

**ინდიკატორი/საქმიანობები:** გამართულ ღონისძიებათა რაოდენობა.

**რელევანტურობა:** დახურული ტიპის დაწესებულებაში მყოფი პირისთვის, მათ შორის პენიტენციურ სისტემაში მოთავსებული ადამიანებისთვის, საზოგადოებასთან ურთიერთობის შენარჩუნება ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. შესაბამისად, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ბიბლიოთეკებით, ასევე ცალკეული ღონისძიებებით უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი საქმიანობაა, თუმცა თითოეული ღონისძიების დაგეგმვისას, გათვალისწინებული უნდა იქნას ღონისძიების საჭიროება, მიზანი, შესაძლო ზეგავლენა დაწესებულებაში მყოფ პირებზე და სხვ. რაც შეეხება აღნიშნული საქმიანობისთვის გათვალისწინებულ ინდიკატორს, მხოლოდ ღონისძიებათა რაოდენობის დათვლა ვერ გაზომავს საქმიანობის შესრულების მაჩვენებელს. გაურკვეველია რამდენი ღონისძიების ჩატარება იყო განსაზღვრული, ასევე მნიშვნელოვანია შეფასდეს რა ზეგავლენა მოახდინა აღნიშნულმა ღონისძიებებმა. ინდიკატორში არაფერია ნათქვამი ბიბლიოთეკების მოწყობის ნაწილის შეფასებაზეც, არ არის აღნიშნული, რა კონკრეტული შედეგები ჩაითვლება ამ მიმართულებით საქმიანობის შესრულების, ან სამიზნე ჯგუფზე ზემოქმედების მოხდენად.

**შესრულების შეფასება:** 2016 წლის სისხლის სამართლის რეფორმის პროგრეს ანგარიშის მიხედვით, ყოველწლიურად ხორციელდება პენიტენციური დაწესებულების ბიბლიოთეკების წიგნის ფონდის განახლება. 2016 წელს კულტურულ ღონისძიებებში და სპორტულ წვრთნაში 3813-მა მსჯავრდებულმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის:

- ინტელექტუალური და შემეცნებითი შეხვედრები - 587;
- კონკურსები - 282;
- თეატრალური დასი - 62;
- სპორტული წვრთნა - 52.

ამის გარდა, დაწესებულებებში გაიმართა 292 კულტურული და 41 სპორტული ღონისძიება.[31]

**დასკვნა:** მოცემული ინდიკატორი საქმიანობის შეფასების შესაძლებლობას არ იძლევა, თუმცა ანგარიშში ვკითხულობთ, რომ გარკვეული ნაბიჯები საქმიანობის შესასრულებლად გადაიდგა. შესაძლოა საქმიანობა ნაწილობრივ შესრულებულად ჩაითვალოს, თუმცა სხვა საკითხია სამიზნე ჯგუფზე ზეგავლენის გაზომვა, რასაც ცალკე აღებული ეს მაჩვენებლები ვერ აჩვენებს და ზეგავლენის გაზომვისთვის დამატებითი წყაროებია საჭირო.

**გეგმის ზოგადი შეფასება**: თუ ზოგადად შევაფასებთ სისხლის სამართლის რეფორმის 2016 წლის სამოქმედო გეგმაში გარე სამყაროსთან ურთიერთობის საკითხებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ პერიოდისთვის გარე სამყაროსთან დაკავშირებით არსებული აქტუალური საკითხებიდან, გეგმაში მხოლოდ მცირე ნაწილი იქნა გათვალისწინებული. შესაძლოა, ეს განპირობებულია იმით, რომ უფრო მნიშვნელოვან და მსხვილ საკითხებად მხოლოდ მითითებული აქტივობები იყო მიჩნეული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წლიდან წლამდე სხვადასხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხები მოუგვარებელი რჩებოდა, კერძოდ, ხანმოკლე პაემნების მინის გამყოფი ბარიერის გარეშე ჩატარება, სატელეფონო საუბრების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა, სატელეფონო აპარატების დამატება სხვადასხვა დაწესებულებაში, ვიდეოპაემნების ინფრასტრუქტურის მოწყობა, მსჯავრდებულთა პენიტენციურ დაწესებულებაში მათი და მათი ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინება და სხვ.[32]

გეგმის სტრუქტურის თვალსაზრისით, კვლავაც აქტუალური რჩება წინა წლის სისხლის სამართლის რეფორმის გეგმაში არსებული პრობლემატიკა.

---

31 2016 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმის პროგრეს ანგარიში, გვ. 83

32 საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

## ვ) სისხლის სამართლის რეფორმის 2017 წლის სამოქმედო გეგმა[33]

**მიზანი 6.** პატიმართა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა; ეფექტიანი რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ღონისძიებების საშუალებით განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკის შემცირება.

**პრიორიტეტი 6.2.** სისხლის სამართლის რეფორმა - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება.

**პროგრამა 6.3. -** პატიმრობის პირობების გაუმჯობესება.

**ქვეპროგრამა 6.3.5.** მსჯავრდებულთა ოჯახებთან ურთიერთობის უფლების უზრუნველსაყოფად გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილების შექმნა.

**განსახორციელებელი ქმედება:** გრძელვადიანი ვიზიტებისთვის დაგეგმილია გლდანის №8 პენიტენციურ დაწესებულებაში ინფრასტრუქტურის მოწყობა.

**ინდიკატორი:** გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილების რაიდენობა. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ოჯახთან ურთიერთობის უფლებით უზრუნველყოფილი თავისუფლებააღკვეთილთა პროცენტული რაოდენობა.

**რელევანტურობა:** ხანგრძლივი პაემნების ინფრასტრუქტურის მოწყობის რელევანტურობაზე საუბარი გვქონდა წინა წლის გეგმების შეფასებისას, აღინიშნა, რომ ოჯახთან ურთიერთობის შენარჩუნების კუთხით, ხანგრძლივი პაემნების ინფრასტრუქტურის მოწყობა უმნიშვნელოვანესი საკითხია, თუმცა ამჯერად ქმედება უფრო კონკრეტულად იქნა ჩამოყალიბებული და მიმდინარე წლისთვის განისაზღვრა N8 დაწესებულებაში ინფრასტრუქტურის მოწყობა (რომლისთვისაც ადგილი წინა წელს იქნა შერჩეული). რაც შეეხება ინდიკატორებს, ისინი ისევ ზოგადია და არ შეესაბამება განსახორციელბელი ქმედების ფორმულირებას (ვერ იქნება გამოყენებული მისი შესრულების შესაფასებლად).

**შესრულების შეფასება:** სისხლის სამართლის რეფორმის 2017 წლის პროგრეს ანგარიშის თანახმად, გლდანის №8 პენიტენციურ დაწესებულებაში გრძელვადიანი ვიზიტებისთვის მოწყობილია ინფრასტრუქტურა, რომელიც ექსპლუატაციაში უნდა შესულიყო 2018 წლის მარტიდან.[34]

**დასკვნა:** მართალია, გეგმაში გათვალისწინებული ფორმულირებით განსახორციელებელი ქმედება შესრულდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გეგმაში განსაზღვრული ტემპებით ხანგრძლივი პაემნების ინფრასტრუქტურის მოწყობას საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი სჭირდებოდა და სასურველი იყო აღნიშნული პრობლემის უფრო სწრაფად მოგვარება. მაგალითად იგივე №8 დაწესებულების ხანგრძლივი ვიზიტების შენობის აშენებას და ექსპლუატაციაში შესვლას 3 წელი დასჭირდა (პირველ წელს განხორციელდა ადგილის შერჩევა, მეორე წელს მშენებლობა, მესამე წელს ექსპლუატაციაში შესვლა).

**ქვეპროგრამა 6.3.6.** თავისუფლებააღკვეთილთა ახლობლების, ოჯახის წევრებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის სწრაფად და ეფექტიანად მოძიების, მოქალაქეთა რეგისტრაციისა და პაემნების სრულყოფილად ორგანიზების მიზნით მომსახურების გაუმჯობესება.

**განსახორციელებელი ქმედება:**

1. საზოგადოებრივი მისაღების აშენება და სრულად ამოქმედება იმ დაწესებულებაში, სადაც არ ფუნქციონირებს; 2. საზოგადოებრივი მისაღების თანამშრომლები გადიან გადამზადებას მოქალაქეთა მომსახურების საკითხებში;

3. მოქალაქეთა მომსახურების სრულყოფის მიზნით, იქმნება ამანათის ონლაინ რეგისტრაციის პროგრამა;

4. საზოგადოებრივი მისაღების მშენებლობა სამინისტროს მთავარი ადმინისტრაციული შენობის წინ;

5. №14 პენიტენციურ დაწესებულებაში საზოგადოებრივი მისაღების ამოქმედება.

**ინდიკატორი:** 1.მოქალაქეთა მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით შექმნილი საზოგადოებრივი მისაღების შენობების რაოდენობა; 2.საზოგადოებრივი მისაღების მომსახურებით უზრუნველყოფილ ხალხთა რაოდენობა.

---

**33** http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/237

**34** 2017 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმის პროგრეს ანგარიში, გვ. 97

**რელევანტურობა:** ანალოგიური საქმიანობის რელევანტურობის წინა წლის შეფასებები.

**შესრულების შეფასება:** გეგმის შესრულების პროგრეს ანგარიშის თანახმად, მოქალაქეთა სრულყოფილად მომსახურების მიზნით, 2017 წელს ამოქმედდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გეგუთის №14 დაწესებულების საზოგადოებრივი მისაღები. საზოგადოებრივი მისაღები უზრუნველყოფდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ხანგრძლივ და ხანმოკლე პაემნების ორგანიზებას, საბუთების შემოწმებასა და ერთჯერადი საშვის გაცემას. ასევე დაწესებულებაში შესვლის მსურველ სხვა პირებზე (კერძოდ, პროკურორი, ადვოკატი, გამომძიებელი, სასულიერო პირი და ა.შ) სპეციალური საშვის გაცემას. საზოგადოებრივი მისაღების თანამშრომლები კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებდნენ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ახლობლებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის სხვადასხვა სახის კონსულტაციის გაწევას.

მოქალაქეთათვის ინფორმაციის მარტივად ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე - moc.gov.ge - ამოქმედდა ონლაინ დახმარების სერვისი. ამ სერვისის სრულად და გამართულად მუშაობისათვის გადამზადება გაიარა საზოგადოებრივი მისაღების 22-მა თანამშრომელმა. ასევე საზოგადოებრივი მისაღები უზრუნველყოფდა სამინისტროს ცხელი ხაზის 1500 ეფექტურ და სწრაფ მომსახურებას.

სამინისტროს მთავარი ადმინისტრაციული შენობის წინ საზოგადოებრივი მისაღების მშენებლობა შეჩერდა. გეგმაში მითითებულია, რომ იმ პერიოდისთვის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ყველა დაწესებულებაში აშენებული იყო და მოქმედებდა საზოგადოებრივი მისაღებები[35].

**დასკვნა:** როგორც ანგარიშიდან ირკვევა, ერთი კომპონენტის გარდა (რომელიც შეჩერებულ იქნა), განსახორციელებელი ქმედება შესრულდა.

**ქვეპროგრამა: 6.4.5.** მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ბიბლიოთეკებით, საზოგადოებასთან ურთიერთობით, სპორტული და კულტურული ღონისძიებებით.

**განსახორციელებდლი ქმედება**: ღონისძიებათა რაოდენობის პროცენტული ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით.

**ინდიკატორი:** გამართული ღონისძიებების რაოდენობა.

**რელევანტურობა:** გარე სამყაროსთან კომუნიკაციის კუთხით, რელევანტურია როგორც სპორტული, ასევე კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, თუმცა მხოლოდ რაოდენობაზე აქცენტის გაკეთება არ არის მართებული. მნიშვნელოვანია ღონისძიებები დაგეგმილი იყოს მსჯავრდებულთა ინტერესების, ასევე მათი ჩატარების მიზანშეწონილობის შეფასების შემდეგ. ნებისმიერი ტიპის ღონისძიების ჩატარება და შედეგების მიღწევის მხოლოდ რაოდენობრივი ინდიკატორით გაზომვა ნაკლებად ეფექტიანია. მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო ასევე ბიბლიოთეკების მრავალფეროვანი წიგნებით უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ეს ეხება ეთნიკური უმცირესობების ენაზე არსებულ ლიტერატურასა და უცხოურენოვან ლიტერატურას.

**შესრულების შეფასება:** პროგრეს ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ყოველწლიურად ხორციელდება პენიტენციური დაწესებულების ბიბლიოთეკების წიგნის ფონდის განახლება. 2017 წელს კულტურულ ღონისძიებებში და სპორტულ წვრთნაში 2360-მა მსჯავრდებულმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის:

- ინტელექტუალური და შემეცნებითი შეხვედრები - 408;
- კონკურსები - 223;
- თეატრალური დასი - 82;
- სპორტული წვრთნა - 75.

ამის გარდა, დაწესებულებებში გაიმართა 338 კულტურული და 35 სპორტული ღონისძიება.[36]

თუ ანგარიშში მოცემულ მონაცემებს წინა წლის მონაცემებს შევადარებთ, ღონისძიებებში მონაწილეთა მაჩვენებელი შემცირებულია 1500 მონაწილით, თვითონ ღონისძიებების რაოდენობა 40 ერთეულით არის გაზრდილი. არსებული ინდიკატორი შეფასებისთვის ვერ გამოდგება, რადგან ღონისძიებების რაოდენობის ზრდის მიუხედავად, მონაწილეთა რაოდენობა შემცირდა. ვინაიდან ინდიკატორი არ იძლევა პროცენტული მაჩვენებლის გამოთვლის ინსტრუქციას და არ საუბრობს მონაწილეთა ჩართულობაზე, რთულია შეფასდეს,

---

35 2017 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმის პროგრეს ანგარიში, გვ. 97

36 2017 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმის პროგრეს ანგარიში, გვ. 101

რამდენად იქნა მიღწეული დასახული საქმიანობა. ჩვენი აზრით, ქმედებაც და ინდიკატორებიც არასწორად არის ფორმულირებული და თავისთავად ღონისძიებების რაოდენობის (ამ შემთხვევაში უმნიშვნელო) ზრდა, სამიზნე ჯგუფზე ზეგავლენის კუთხით წინსვლად ვერ ჩაითვლება.

**გეგმის ზოგადი შეფასება:** 2017 წლის გეგმაშიც, წინა წლების მსგავსად, საუბარია ხანგრძლივი პაემნების ინფრასტრუქტურის მოწყობაზე, საზოგადოებრივი მისაღების შენობების მშენებლობასა და კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებების მოწყობაზე. გეგმაში არ იქნა ასახული ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომელიც სისტემაში წლების განმავლობაში მოუგვარებელი იყო, კერძოდ, ხანმოკლე პაემნების განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე, დაწესებულებაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსებისას, მათი საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინების საკითხი, განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მყოფ პირთათვის ხანგრძლივი პაემნის უფლების უზრუნველყოფა, სატელეფონო ზარების განხორციელების უფლებით სრულყოფილად სარგებლობა (სატელეფონო აპარატების რაოდენობის ზრდა, საუბრების კონფიდენციალობის უზრუნველყოფა), ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნების რაოდენობის ზრდა, სამარტოო საკანში მყოფ პირთა მიერ სახალხო დამცველთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა და სხვ.[37]

რაც შეეხება გეგმის სტრუქტურას, წინა წლის მსგავსად, არსებობდა ინდიკატორების არასაკმარისად კონკრეტულად ფორმულირების პრობლემა.

## ზ) 2018 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა[38]

**მიზანი 2.** სასჯელაღსრულების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

**ამოცანა 2.1.** პატიმრობის პირობების გაუმჯობესება.

**შედეგი 2.1.** ბრალდებულები/მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან კვებითა და პირადი ჰიგიენისთვის აუცილებელი საშუალებებით; პენიტენციური დაწესებულებები აღჭურვილია უსაფრთხოების მაღალი ტექნოლოგიებით; შექმნილია ადგილები გრძელვადიანი შეხვედრებისთვის.

**ინდიკატორი:** გაუმჯობესებული პირობებით უზრუნველყოფილ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობა.

**ღონისძიება 2.1.1.** ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება.

**2018 წელს გათვალისწინებული საქმიანობა**: ოჯახებთან ურთიერთობის უფლების უზრუნველსაყოფად გრძელვადიანი ვიზიტებისთვის ადგილების შექმნა.

**შესრულების შეფასება:** №7 პენიტენციურ დაწესებულებაში შეიქმნა გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილი.

**დასკვნა**: ვინაიდან შეუძლებელია განვსაზღვროთ რამდენად საკმარისი იყო №7 დაწესებულებაში ხანგრძლივი ვიზიტებისათვის ადგილის შექმნა გეგმაში მოცემული საქმიანობის შესასრულებლად, მით უფრო პატიმრების პირობების გაუმჯობესების მიზნის მისაღწევად, საქმიანობა ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩავთვალოთ.

**გეგმის ზოგადი შეფასება:** რაც შეეხება 2018 წლის სისხლის სამართლის რეფორმის გეგმის სტრუქტურას, ის განსხვავდება წინა წლების გეგმების სტრუქტურებისგან. დადებითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ მოცემული გეგმის სტრუქტურაში საქმიანობები/ღონისძიებები და ინდიკატორები უკვე ერთმანეთისგან გამიჯნულია, დამატებულია შესაძლო რისკების გრაფაც. თუმცა კვლავ დგას ინდიკატორების კონკრეტიკის პრობლემა, ასევე არ არის საუბარი ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე გარე სამყაროსთან ურთიერთობის კუთხით, რაც წინა წლების გეგმებშიც არ იყო ასახული და რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

## თ) პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2019-2020 წწ)

2019 წლის 22 თებერვალს საქართველოს იუსტიციის მინისტრის №385 ბრძანებით დამტკიცდა პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების 2019-2020 წლების განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

37 საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

38 http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/237

სტრატეგიისა და გეგმის თანახმად, განისაზღვრა ცალკეული მიზნები და ის შედეგები (შუალედური და საბოლოო), რომლებიც უნდა მოჰყოლოდა აღნიშნული მიზნების მიღწევას. მიზნების ნაწილი უკავშირდება პენიტენციურ სისტემაში მყოფ პირთა გარე სამყაროსთან ურთიერთობის საკითხებს. კერძოდ, სტრატეგიის ერთ-ერთ მიზნად განსაზღვრულია ბრალდებულების, მსჯავრდებულების, სტუმრებისა (მოწყვლად ჯგუფებზე განსაკუთრებული აქცენტით) და თანამშრომლების უფლებების დაცვა.

აღნიშნული მიზნის ერთ-ერთი შედეგია (D2): მსჯავრდებულებისთვის დასაქმების, პროფესიული სწავლე-ბის, განათლებისა და განტვირთვის შესაძლებლობების გაუმჯობესება.

**აქტივობა D2.5.** პენიტენციური დაწესებულებების ბიბლიოთეკების გაუმჯობესება.

**აქტივობის შედეგი:** ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს უკეთ მიუწვდებათ ხელი საკითხავი მასალის დიდ არჩევანზე.

**ინდიკატორები:** 2019 წლის მარტში ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან"; 2019 წლის დეკემბრისთვის ბიბლიოთეკები გამართულად ფუნქციონირებს; 2019 წლის დეკემბრისთვის სოციალური კამპანიის პირველი ციკლი ჩატარდა; 2020 წლის დეკემბრისთვის სოციალური კამპანიის მეორე ციკლი დასრულდა.

**მეორე შედეგი D3.** ოჯახებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ოჯახთან კონტა-ქტის წახალისება.

**აქტივობა D3.1.** სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება და შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან თა-ნამშრომლობით ოჯახის ფარგლებში მეგობრული და მხარდამჭერი გარემოს შექმნის მიზნით გეგმის შემუშავება.

**აქტივობის შედეგი:** ოჯახთან ურთიერთობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა გაუმჯობესებულია.

**ინდიკატორები:** 2019 წლის ივნისისთვის არასრულწლოვნებთან მიმართებით ოჯახის ფარგლებში მეგო-ბრული და მხარდამჭერი გარემოს შექმნის მიზნით, მიდგომა და გეგმის პროექტი მომზადებულია; 2019 წლის დეკემბრისთვის არასრულწლოვნებთან მიმართებით ოჯახის ფარგლებში მეგობრული და მხარდამჭერი გარე-მოს შექმნის მიზნით გეგმის განხორციელების ანგარიში მომზადებულია, 2020 წლის ივნისისთვის ახლებური მიდგომა ოჯახის ფარგლებში მეგობრული და მხარდამჭერი გარემოს შექმნის მიზნით დანერგილია.

**რელევანტურობა:** როგორც ბიბლიოთეკების მოწყობა, ასევე ოჯახებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტუ-რის გაუმჯობესება და ოჯახთან ურთიერთობის წახალისება თავისთავად რელევანტური აქტივობაა, თუმცა რეალისტურობაზე საუბარი მხოლოდ შესრულების ვადის დადგომის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

**გეგმის ზოგადი შეფასება:** ზოგადად გეგმასთან დაკავშირებით უნდა ღინიშნოს, რომ ფორმულირების კუთხით გეგმა ყველა სხვა გეგმაზე უკეთ არის ფორმულირებული, ინდიკატორებიც უფრო კონკრეტულია, თუმცა რიგი საკითხებისა, რომლებიც სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშით მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული, გათვალისწინებული არ არის, ასეთებია ბრალდებულთათვის, გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით, ხანგრძლივი პაემნის უფლების უზრუნველყოფა, მინის გამყოფი ბარიერის გარეშე ხანმოკლე პაემნების განხორციელება, განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მყოფ პირთა ვიდეოპაემნით უზრუნველყოფა და სხვ.

# 8. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

იმისათვის, რომ გაკეთდეს წლების მანძილზე არსებული გეგმების საბოლოო შეჯამება, მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ როგორც ადამიანის უფლებათა გეგმების, ასევე სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმების განვითარების დინამიკა.

## ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2015 წლების გეგმა

ზოგადად გეგმასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ მასში ასახული საკითხები მნიშვნელვანია, თუმცა მოცემულ წლებში არსებობდა სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც გეგმაში

გათვალისწინებული არ ყოფილა, კერძოდ, მსჯავრდებულისა და მისი ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინება მისი განთავსებისას, ხანმოკლე პაემნების განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე, კორესპონდენციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა, სატელეფონო საუბრებით სრულყოფილად სარგებლობის უფლება და სხვ.

რაც შეეხება გეგმის სტრუქტურას, როგორც ცალკეული საქმიანობების ანალიზიც ცხადყოფს, ინდიკატორების ფორმულირება არ არის ოპტიმალური და არ იძლევა საქმიანობების გაზომვის შესაძლებლობას. არ არის მითითებული, როგორ უნდა მოხდეს ინდიკატორების მიხედვით შედეგის გაზომვის შეფასება და საბოლოოდ როგორ უნდა გაიზომოს საქმიანობების შესრულების ზეგავლენა დასახულ მიზანზე, მიზნობრივი ჯგუფის უფლებრივ მდგომარეობაზე. ცალკე გრაფა არ არის გამოყოფილი არც ბიუჯეტის განსაზღვრისთვის.

## ადამიანის უფლებათა დაცვის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა

რაც შეეხება 2016-2017 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმის ზოგად შეფასებას, წინა გეგმის მსგავსად, მიუხედავად იმისა, რომ გეგმაში გათვალისწინებული საკითხები იმ პერიოდისთვის აქტუალური და მნიშვნელოვანი იყო, სხვა არანაკლებ მწვავე გამოწვევები გეგმაში ასახული არ ყოფილა, კერძოდ, ისევ აქტუალური იყო მსჯავრდებულისა და მისი ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინება ბრალდებულის/მსჯავრდებულის განთავსებისას, ხანმოკლე პაემნების განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე, განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულების უზრუნველყოფა ხანგრძლივი პაემნით, სატელეფონო ზარების კონფიდენციალობა, სახალხო დამცველთან დღე-ღამის ნებისმიერ დროს დაკავშირების შესაძლებლობით უზრუნველყოფა და სხვ.

რაც შეეხება სტრუქტურას, გარე სამყაროსთან ურთიერთობასთან დაკავშირებული საქმიანობების ინდიკატორები შედარებით უფრო კონკრეტულად არის ფორმულირებული ვიდრე წინა ორი წლის გეგმაში, თუმცა მათი ფორმირება მაინც არ არის ოპტიმალური (არ არის აღწერილი მათი გამოთვლის კონკრეტული ხერხი). გეგმას დაემატა ბიუჯეტის გრაფაც, სადაც ძირითადად მითითება კეთდება სახელმწიფო ბიუჯეტზე ან დონორი ორგანიზაციების თანხებზე, თუმცა საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო თანხის ოდენობა ყველგან განსაზღვრული არ არის.

## სისხლის სამართლის რეფორმის 2015 წლის სამოქმედო გეგმა

ზოგადად 2015 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმის შეფასების მიზნით, უნდა ითქვას, რომ ის მეტ-ნაკლებად ეხმიანება და იმეორებს ადამიანის უფლებათა გეგმის პრიორიტეტებსა და აქტივობებს. თუმცა იმ პერიოდისთვის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი ასახული არ არის.

რაც შეეხება გეგმის სტრუქტურას, ინდიკატორები და საქმიანობები ფაქტობრივად გაიგივებულია, ასევე ცალკეა მოცემული განსახორციელებელი ქმედებები, რომლებიც საქმიანობებისგან განსხვავებული შინაარსის მატარებელია. ასეთი სტრუქტურა გაუგებარია, რადგან საქმიანობა იმავდროულად ინდიკატორი არ შეიძლება იყოს. თავად ინდიკატორებიც ზოგადად არის ფორმულირებული და არ იძლევა ქმედების შესრულების გაზომვის შესაძლებლობას.

## სისხლის სამართლის რეფორმის 2016 წლის სამოქმედო გეგმა

თუ ზოგადად შევაფასებთ სისხლის სამართლის რეფორმის 2016 წლის სამოქმედო გეგმაში გარე სამყაროსთან ურთიერთობის საკითხებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ პერიოდისთვის გარე სამყაროსთან დაკავშირებით არსებული აქტუალური საკითხებიდან, მხოლოდ მცირე ნაწილი იქნა გათვალისწინებული. შესაძლოა ეს განპირობებული იყო იმით, რომ უფრო მნიშვნელოვან და მსხვილ საკითხებად მხოლოდ მითითებული აქტივობები იყო მიჩნეული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წლიდან წლამდე სხვადასხვა არანაკლებ აქტუალური საკითხი მოუგვარებელი რჩებოდა, კერძოდ, ხანმოკლე პაემნების მინის გამყოფი ბარიერის გარეშე ჩატარება, სატელეფონო საუბრების კონფიდენციალობის უზრუნველყოფა, სატელეფონო აპარატების დამატება სხვადასხვა დაწესებულებაში, ვიდეოპაემნების ინფრასტრუქტურის მოწყობა, მსჯავრდებულთა პენიტენციურ დაწესებულებაში მათი და მათი ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინება და სხვ.[39]

გეგმის სტრუქტურის თვალსაზრისით, კვლავაც აქტუალური რჩება წინა წლის სისხლის სამართლის რეფორმის გეგმაში არსებული პრობლემატიკა.

---

39 საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

## სისხლის სამართლის რეფორმის 2017 წლის სამოქმედო გეგმა

2017 წლის გეგმაშიც წინა წლების მსგავსად, საუბარია ხანგრძლივი პაემნების ინფრასტრუქტურის მოწყობაზე, საზოგადოებრივი მისაღების შენობების მშენებლობასა და კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებების მოწყობაზე. გეგმაში არ იქნა ასახული ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომელიც სისტემაში წლების განმავლობაში მოუგვარებელი იყო, კერძოდ, ხანმოკლე პაემნების განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე, დაწესებულებაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსებისას, მათი საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინების საკითხი, განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მყოფ პირთათვის ხანგრძლივი პაემნის უფლების უზრუნველყოფა, სატელეფონო ზარების განხორციელების უფლებით სრულყოფილად სარგებლობა (სატელეფონო აპარატების რაოდენობის ზრდა, საუბრების კონფიდენციალობის უზრუნველყოფა), ხანგრძლივი პაემნების რაოდენობის ზრდა, სამარტოო საკანში მყოფ პირთა მიერ სახალხო დამცველთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა და სხვ.[40]

რაც შეეხება გეგმის სტრუქტურას, წინა წლის მსგავსად არსებობდა ინდიკატორების არასაკმარისად კონკრეტულად ფორმულირების პრობლემა.

## სისხლის სამართლის რეფორმის 2018 წლის სამოქმედო გეგმა

რაც შეეხება 2018 წლის სისხლის სამართლის რეფორმის გეგმის სტრუქტურას, ის განსხვავდება წინა წლების გეგმების სტრუქტურებისგან. დადებითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ მოცემული გეგმის სტრუქტურაში საქმიანობები/ღონისძიებები და ინდიკატორები უკვე ერთმანეთისგან გამიჯნულია, დამატებულია შესაძლო რისკების გრაფაც. თუმცა კვლავ დგას ინდიკატორების კონკრეტიკის პრობლემა, ასევე არ არის საუბარი ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე გარე სამყაროსთან ურთიერთობის კუთხით, რაც წინა წლების გეგმებშიც არ იყო ასახული, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

## პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა

პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ფორმულირების კუთხით გეგმა ყველა სხვა გეგმაზე უკეთ არის ფორმულირებული, ინდიკატორებიც უფრო კონკრეტულია, თუმცა რიგი საკითხებისა, რომლებიც სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშით მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული, გათვალისწინებული არ არის. ასეთებია ბრალდებულთათვის, გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით, ხანგრძლივი პაემნის უფლების უზრუნველყოფა, მინის გამყოფი ბარიერის გარეშე ხანმოკლე პაემნების განხორციელება, განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მყოფ პირთა ვიდეოპაემნით უზრუნველყოფა და სხვ.

# გეგმის რელევანტურობა

გეგმების განზოგადების შედეგად, უნდა აღინიშნოს, რომ წლების განმავლობაში პოლიტიკის დოკუმენტებით გათვალისწინებული საქმიანობები და ამოცანები სრულიად რელევანტური იყო და საჭიროებდა სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში ასახვას. ამავდროულად უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ გარდა დოკუმენტებში ასახული საკითხებისა, არსებობდა არანაკლებ მნიშვნელოვანი და აქტუალური გარემოებები, რაც გარე სამყაროსთან ურთიერთობის კუთხით გაუმჯობესებას მოითხოვდა და რაც, სამწუხაროდ, გეგმებში არ იქნა ასახული.

ჯერ კიდევ 2014 წლიდან ომბუდსმენი საუბრობდა მინის გამყოფი ბარიერების გარეშე ხანმოკლე პაემნების მოწყობის აუცილებლობაზე, ასევე ხანგრძლივი პაემნების ინფრასტრუქტურის მოწყობაზე.

2015 წელს ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურა მოეწყო №5 დაწესებულებაში, თუმცა კვლავ აქტუალური რჩებოდა აღნიშნული საკითხის გადაჭრა სხვა დაწესებულებებში, ასევე აქტუალური იყო სახალხო დამცველის პრევენციული ჯგუფის წევრთან შეხვედრის ოთახის არსებობა, სადაც არ განხორციელდებოდა ვიზუალური მეთვალყურეობა. ასევე აქტუალური იყო ხანგრძლივი პაემნებისა და ვიდეოპაემნების ინფრასტრუქტურის მოწყობის საკითხი.

2016 წელს სახალხო დამცველმა დადებითად შეაფასა პენიტენციურ დაწესებულებაში დედასთან მყოფი ბავშვის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში, უქმე დღეებში (შაბათ-კვირა)დედის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვების შესაძლებლობა. დადებითი იყო

40 საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

ასევე ის ფაქტიც, რომ 2016 წლის 1 იანვრის შემდეგ, ბრალდებულების მიერ ხანმოკლე პაემნის, მიმოწერის და სატელეფონო ზარების უფლების განსახორციელებლად აღარ იყო საჭირო გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს ნებართვის მიღება. მიუხედავად ამისა, კვლავ პრობლემას წარმოადგენდა პატიმართა განთავსებისას ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა, ასევე ხანმოკლე პაემნის მინით გადატიხრულ ოთახებში ჩატარება, რა დროსაც პატიმარი მოკლებულია ოჯახის წევრებთან ყოველგვარი ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას. ვიდეოპაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა მხოლოდ N5 პენიტენციურ დაწესებულებაში იყო მოწყობილი. დადებითად შეფასდა ის ფაქტი, რომ 2016 წელს №8, №9, №18 და №19 დაწესებულებებში მოთავსებულ მსჯავრდებულებს საშუალება ჰქონდათ, ესარგებლათ ხანგრძლივი პაემნით იმ დაწესებულებებში, სადაც მოწყობილი იყო სათანადო ინფრასტრუქტურა, თუმცა გამოწვევად რჩებოდა დახურული ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებსა და სამკურნალო დაწესებულებებში ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურის მოწყობა.

2017 წელს ომბუდსმენმა დადებითად შეაფასა განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულებისთვის ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების მინიჭება და სატელეფონო საუბრით სარგებლობის ოდენობისა და ხანგრძლივობის გაზრდა. ამავდროულად, კვლავ პრობლემური იყო ხანმოკლე პაემნის ოთახებში მინის ბარიერის არსებობა, მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენდა პატიმართა განთავსებისას ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა, ოჯახის ვიზიტის დროს კონფიდენციალური გარემოს არარსებობა, სატელეფონო საუბრის კონფიდენციალურობისს დარღვევა, ბიბლიოთეკებში პერიოდული პრესის ხელმიუწვდომლობა, სატელევიზიო არხების არამრავალფეროვნება (მათ შორის, ენობრივი თვალსაზრისით), რაც შესაბამისი წლის გეგმაში ასახული არ ყოფილა. დადებით ნაბიჯს წარმოადგენდა განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებისთვის ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების მინიჭება და სატელეფონო საუბრით სარგებლობის ოდენობისა და ხანგრძლივობის გაზრდა.

2018 წელს უკვე თითქმის მეხუთე წლის მანძილზე სახალხო დამცველი ხაზს უსვამდა, რომ კვლავ პრობლემურია ხანმოკლე პაემნის ოთახებში მინის ბარიერის არსებობა, ოჯახის ვიზიტის დროს კონფიდენციალური გარემოს არარსებობა, სატელეფონო საუბრის კონფიდენციალურობის დარღვევა. მიუხედავად ვიდეოპაემნის მნიშვნელობისა, ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში არ იყო მოწყობილი შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ამასთან, ბრალდებულებს კვლავ არ ჰქონდათ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება, განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს კი, ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება. ჩამოთვლილ საკითხთაგან უმრავლესობა სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული არ ყოფილა.

## გეგმების სტრუქტურა

როგორც ინდიკატორებზე მსჯელობისას იქნა მითითებული, სამოქმედო გეგმების შეფასებისას, მნიშვნელოვანია ამოცანები, მიზნები ჩამოყალიბებული უნდა იყოს ე.წ. S.M.A.R.T. პრინციპით. კერძოდ, თითოეული მიზანი, აქტივობა იყოს **სპეციფიკური**, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩამოყალიბებული იყოს კონკრეტულად, დეტალურად, კარგად მოხდეს განსახორციელებელი ქმედების განსაზღვრა, იყოს **გაზომვადი**, რაც ნიშნავს, რომ შესაძლებელი უნდა იყოს აქტივობების, მიზნების გაზომვა, ციფრებსა და რაოდენობებში ასახვა, უნდა იყოს **მიღწევადი,** შესაბამისად, მისი შესრულება უნდა იყოს შესაძლებელი. მიზნები და აქტივობები უნდა იყოს **რეალისტური,** რაც გულისხმობს, რომ არსებული რესურსების გათვალისწინებით შესაძლებელი უნდა იყოს მათი განხორციელება, ასევე უნდა იყოს **დროში გაწერილი**, უნდა არსებობდეს აქტივობების შესრულებისა და მიზნის მიღწევისთვის დადგენილი ვადა, ე.წ. „დედლაინი“. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მიზნებისა და ამოცანების შეფასების **ინდიკატორები** შესაძლოა ზომავდეს მხოლოდ ცალკეული აქტივობის შესრულებას (შესრულების ინდიკატორები), ასევე შესაძლოა იყოს ზეგავლენის ან გამოსავლის ინდიკატორები, რაც აჩვენებს რამდენად იქნა მიღწეული სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული მიზანი. გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნას ცალკეულ აქტივობასა და მიზნის მიღწევაზე პასუხისმგებელი უწყება, ასევე განსაზღვრული უნდა იყოს აქტივობის დაფინანსების წყარო. ინდიკატორები უნდა აკმაყოფილებდეს S.M.A.R.T. ინდიკატორების ხუთივე პირობას.

სამწუხაროდ, არსებული სამოქმედო გეგმები უმეტესად ვერ აკმაყოფილებს მითითებულ მოთხოვნებს, უმეტეს შემთხვევაში მიზნები, საქმიანობები და ინდიკატორები ძალიან ზოგადია, არ არის კონკრეტულად ჩამოყალიბებული და ფორმულირებული, არ არის მითითებული არც ბენეფიციართა რაოდენობა, რისი დაფარვაც ჩაითვლებოდა მიზნის მიღწევად, ხშირად მიზნები არარეალისტურია იმ რესურსის გათვალისწინებით რაც არსებობს, საჭირო ბიუჯეტი ცალსახად განსაზღვრული არ არის. ნაწილობრივ აღრეულია ინდიკატორები და საქმიანობები, რაც გეგმის შეფასებას ართულებს.

ასევე ინდიკატორის სახით, ბენეფიციართა მხოლოდ რაოდენობის დათვლა ვერ ზომავს მიზნის მიღწევას, ეს მხოლოდ ცალკეული საქმიანობის შესრულებაზე შეიძლება მიუთითებდეს, ხოლო ამ აქტივობის ზეგავლენა მიზნის მიღწევაზე მხოლოდ ამ მონაცემით ვერ იქნება შეფასებული. იმისათვის, რომ ზეგავლენის შეფასება მოხდეს, მნიშვნელოვანია დეტალურად იქნეს განსაზღვრული, როგორ უნდა მოხდეს ინდიკატორის გამოთვლა. “პოლიტიკის შეფასებისათვის არ არის საკმარისი დიქოტომური პასუხების გაცემა (მაგ. გადამზადებულ თა-

ნამშრომელთა რაოდენობა), არამედ, არსებული კანონების/პოლიტიკის შეფასებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს სთეიქჰოლდერთა მოსაზრებები/აღქმა[41]“. აღნიშნული გამოთვლით, შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ ცალკეული საქმიანობის მასშტაბის სიმცირის გამო, გეგმაში საერთოდ არ არის მიზანშეწონილი მოცემული ინდიკატორის გათვალისწინება, ეს მხოლოდ მცირე კომპონენტს წარმოადგენს და ამის ასახვა არ იძენს სტრატეგიულ მნიშვნელობას.

მნიშვნელოვანია აგრეთვე მიკუთვნებულობის განსაზღვრა, კერძოდ, რამდენად შესაძლოა მიზნის მიღწევა მივაკუთვნოთ სწორედ ცალკეული აქტივობის განხორციელებას, მაგალითად რამდენად განაპირობა საზოგადოებრივი მისაღების მოწყობამ (ასეთი მიზნის მიღწევის შემთხვევაში) ბრალებულთა და მსჯავრდებულთა ოჯახებთან ურთიერთობის გაუმჯობესება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გეგმაში უმეტესად საერთოდ არ არის მოცემული აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯების წყარო, რაც თავიდანვე ეჭვქვეშ აყენებს მიზნის მიღწევას და აჩენს კითხვას რამდენად მიღწევადი და რეალისტურია მოცემული მიზანი, თუ აქტივობა.

ძირითადად, სტრუქტურის კუთხით, ოპტიმალური ინდიკატორების მოძებნა როგორც ადამიანის უფლებათა, ისე სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმაში, რთულია. ძირითადად ყველა ამოცანისა და აქტივობისთვის გამოყენებულ ინდიკატორებს ახასიათებთ ზემოთ მითითებულ მაგალითებში აღწერილი ხარვეზები.

## შესრულების შედეგები

რაც შეეხება გეგმების შესრულებას, ადამიანის უფლებათა გეგმისა და სისხლის სამართლის რეფორმის გეგმის შესრულების ანგარიშებში უმეტესად ცალკეული საქმიანობების შესრულების სტატუსი განსაზღვრულია როგორც შესრულებული, ან ნაწილობრივ შესრულებული. თუმცა თუ ისევ ინდიკატორებთან დაკავშირებით განვიხილავთ თითოეულ აქტივობას, არსებული ინდიკატორების პირობებში ფაქტიურად შეუძლებელია მათი შესრულების შეფასება განხორციელდეს, მით უფრო მათი ზეგავლენის გაზომვა გარე სამყაროსთან ურთიერთობის ნაწილში პენიტენციურ რეფორმაზე ზეგავლენის კუთხით.

ანგარიშებში გადმოცემული ინფორმაცია უმეტესად ეხება ცალკეული საქმიანობების შესრულებას და ბოლომდე არც ამის შეფასებაა შესაძლებელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში თითოეულ მიზანს რამდენიმე აქტივობა უკავშირდება, თუმცა შეფასების იდნიკატორები მოცემულია მხოლოდ ნაწილზე და ფაქტობრივად ანგარიშში ყველა მიმართულების შესრულებაზე ინფორმაცია ასახული არ არის, არის შემთხვევებიც როდესაც შესრულების შეფასებები არაზუსტია.

კვლევის ფარგლებში, შესრულების შეფასების ერთადერთ წყაროს სწორედ პროგრეს ანგარიშები და სახალხო დამცველის ანგარიშები წარმოადგენდა, რადგან დამატებით გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის მოწოდებაზე სამინისტრომ უარი განაცხადა.

## რეკომენდაციები

მიზანშეწონილია სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებული იქნას შემდეგი საკითხები:

- ხანმოკლე პაემნები ყველა დაწესებულებაში განხორციელდეს მინის ბარიერის გარეშე, რათა ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს მიეცეთ მნახველებთან უშუალო კომუნიკაციის უფლება;
- მსჯავრდებულთა პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებისას, მოხდეს მათი ან მათი ახლობლების საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინება;
- განხორციელდეს ხანგრძლივი პაემნებისა და ვიდეოპაემნების ინფრასტრუქტურის მოწყობა იმ დაწესებულებებში, სადაც ამგვარი ინფრასტრუქტურა არ არსებობს;
- მოხდეს სატელეფონო ზარების კონფიდენციალურობის საკითხის უზრუნველყოფა;
- განხორციელდეს ბიბლიოთეკების აღჭურვა (განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობების ენაზე არსებული ლიტერატურით, ასევე მრავალფეროვანი ტელეარხების მიწოდება).

41 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის მონიტორინგის სახელმძღვანელო (GCRT).

- კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება, რომლის მიხედვითაც, გაუქმდება ტელევიზორისა და რადიომიმღების აკრძალვა, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, ასევე დისციპლინურ სახდელდადებულ პატიმრებს არ შეეზღუდებათ ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება.

- სამოქმედო გეგმების შედგენისას გათვალისწინებული იქნას S.M.A.R.T. პრინციპი, ინდიკატორები და ამოცანები იყოს სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური და დროში გაწერილი;

- სამოქმემდო გეგმები ეფუძნებოდეს სიტუაციის დეტალურ ანალიზს, რათა თავიდან იქნას აცილებული იმ საქმიანობების განხორციელება და იმ ხარჯების გაწევა, რომლებიც შემდგომ წლებში შესაძლოა აქტუალურად აღარ ჩაითვალოს, ან მისი ხარჯთ ეფექტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს;

- თითოეული აქტივობისთვის გაწერილი იყოს მისი შესრულებისთვის საჭირო ბიუჯეტი (სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორების მიერ გამოყოფილი თანხები, სხვა წყაროები);

- სამოქმედო გეგმაში ასახული იყოს მხოლოდ ისეთი საკითხები, რომლებსაც შეუძლიათ რეალური ზეგავლენა მოახდინონ სისტემაში მიმდინარე პროცესებზე, შესაბამისად, მიზანშეწონილია ინდიკატორები ზომავდეს არა მხოლოდ საქმიანობების/აქტივობების შედეგებს, არამედ მათ ზეგავლენას მთელ სისტემაზე;

- გეგმაში მოცემული უნდა იყოს ინდიკატორის გამოთვლის დეტალური ფორმულა, რათა რეალურად გაიზომოს სამიზნე ჯგუფზე საქმიანობის ზეგავლენა;

- მნიშვნელოვანია თითოეული წლის გეგმა გამომდინარეობდეს იმ წლის საჭიროებებიდან და არ წარმოადგენდეს წინა წლის გეგმის მექანიკურ გაგრძელებას.

penalreform.org

**Penal Reform International**
**South Caucasus Regional Office**
**Address:** Chavchavadze ave, 1st lane, block #6,
entr III, floor II, apt. 61
0179, Tbilisi, Georgia
**Phone:** + 995 32 237 02 70

**Penal Reform International South Caucasus Regional Office**